

სს კურორტი ახტალა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

სს კურორტი ახტალა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. ძირითადი საშუალებები	12
5. არამატერიალური აქტივები	13
6. ფული და ფულის ექვივალენტები	13
7. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....	13
8. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	14
9. ბალანსის შემდგომი მოვლენები	15

სს კურორტი ახტალას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31-12-18	31-12-17
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	3,466,718	3,121,570
არამატერიალური აქტივები	35,273	27,949
საინვესტიციო ქონება	-	-
ბიოლოგიური აქტივი	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	3,501,991	3,149,519
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	7,130	11,550
გაცემული სესხები	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	890	2,236
ფული და ფულის ეკვივალენტები	53,784	38,247
სულ მიმდინარე აქტივები	61,804	52,033
სულ აქტივები	3,563,795	3,201,552
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	3,703,348	3,242,105
დაგროვილი მოგება	(144,956)	(45,760)
სულ საკუთარი კაპიტალი	3,558,392	3,196,345
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,751	5,627
საგადასახადო ვალდებულებები	(348)	(420)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5,403	5,207
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3,563,795	3,201,552

დირექტორი

გ.უტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

მ. ათაბეგაშვილი

სს კურორტი ახტალას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2018
ამონაგები	351,295
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(242,994)
საერთო მოგება	108,301
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(197,715)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	(2,426)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება	(91,840)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	9,442
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(16,798)
მოგება დაბეგვრამდე	(99,196)
მოგების გადასახადის ხარჯი	-
წმინდა მოგება/ზარალი	(99,196)
სხვა სრული შემოსავალი	9,079
სულ სული შემოსავალი	(90,117)

დირექტორი

გ.უტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

მ. ათაბეგაშვილი

სს კურორტი ახტალას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	3,183,104	59,001	(45,760)	3,196,345
კაპიტალის ზრდა	452,164			452,164
წლის წმინდა მოგება			(99,196)	(99,196)
გადაფასების რეზერვის ზრდა		9,079		9079
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	3,635,268	68,080	(144,956)	3,558,392

დირექტორი

გ.უტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

მ. ათაბეგაშვილი

სს კურორტი ახტალას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2018
საოპერაციო საქმიანობა	
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	361,413
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	- 342,005
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	19,407
გადახდილი მოგების გადასახადი	-
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	19,407

საინვესტიციო საქმიანობა	
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	- 70,529
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(70,529)

საფინანსო საქმიანობა	
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებაიდან	70,000
დივიდენდების გადახდა	- 3,341
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	66,659

ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	15,537
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	38,247
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	53,784

დირექტორი

გ.უტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

მ. ათაბეგაშვილი

1. ზოგადი ინფორმაცია

სს კურორტი ახტალა სკ 227720883 წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო-საკურორტო მომსახურება. კომპანია დაფუძნდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს მიერ 28.11.1996 წელს რეგისტრირებულია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

სარეგისტრაციო ნომერი # 27/5-23.

მისამართი: ქ. გურჯაანი, თამარ მეფის ქ#9 .

საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი 227720883.

საწარმო თავის საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმოს და აქციონერების ინტერესების გათვალისწინებით, ლიცენზიების და ნებართვების გათვალისწინებით.

სს კურორტი ახტალის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1 ლარიანი ნომინალური ღირებულების 3 549 156 ჩვეულებრივი აქციის სახელმწიფოს წილი კაპიტალში 99,54808% ელექტრონული აუქციონის # 354, 2018 წლის 14 ივნისს (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ, აქციების მფლობელი გახდა შპს გლობალ ვიქტორი ჯეორჯია (სკ 405195408). დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება 30 ივლისი 2018 წელი, შპს გლობალ ვიქტორი ჯეორჯია - 99,54808% წილის მფლობელია, ხოლო 0,45192% ეკუთვნის 79 აქციონერს.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის - 2018 წლის 1 იანვრისთვის, კომპანიას არ გამოუყენებია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“ - მიხედვით მოცემული შეღავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა ნაგებობები	20 წელი
საოფისე აღჭურვილობა	4-9 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	2-14 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ

მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 20 წლით.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არა დისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტოსარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „პირველიშემოსავალში - პირველიგასავალში“ (ფიფო)მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს „პირველიშემოსავალში - პირველიგასავალში“ (ფიფო) მეთოდით.

2.10 საგარანტიო ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

2.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.13 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სს კურორტი ახტალა ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები გარდა მიწისა გადაფასდა 2017 წლის 4 აპრილს. 2018 წელს გადაფასდა მიწაც.

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ავეჯი და ინვენტარ ო	ავტოტრანსპორტ ო	მანქანა- მოწყობილობ ა	მიწა	ნაგებობებ ო	ნარგავებ ო	შენობები	სულ
საბალანსო ღირებულება 01/01/2018 წ.								
მდგომარეობით	4,570	3,000	114,091	1,667,561	892,766	121,250	388,561	3,191,799
ძირითადი საშუალების გასვლა	-	(3,000)	(9,627)	(193,709)	(1,963)	-	-	(208,299)
აფასების ნამეტი	-	-	-	164,693	-	-	-	164,693
ძირითადი საშუალების შემოსვლა	-	-	3,992	335,430	24,501	-	117,644	481,567
საბალანსო ღირებულება 31/12/2018 წ.								
მდგომარეობით	4,570	-	108,456	1,973,975	915,304	121,250	506,206	3,629,760
დაგროვილი ცვეთა								
დაგროვილი ცვეთა 01/01/2018 წ.	686	1,125	16,697	-	33,351	4,547	13,824	70,229
ცვეთა	914	1,375	22,949	-	44,834	6,063	22,618	98,752
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	(2,500)	(3,276)	-	(164)	-	-	(5,940)
დაგროვილი ცვეთა 31/12/2018 წ.	1,600	-	36,370	-	78,022	10,609	36,442	163,042
წმინდა საბალანსო ღირებულება 01/01/2018წ.								
მდგომარეობით	3,885	1,875	97,394	1,667,561	859,415	116,703	374,737	3,121,570
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/2018წ.								
მდგომარეობით	2,971	-	72,086	1,973,975	837,282	110,641	469,764	3,466,718

სს კურორტი ახტალა - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	არამატერიალური აქტივები
საბალანსო ღირებულება 01/01/2018 წ. მდგომარეობით	29,038
აფასების ნამეტი	9,079
საბალანსო ღირებულება 31/12/2018 წ. მდგომარეობით	38,117
დაგროვილი ცვეთა	
დაგროვილი ცვეთა 01/01/2018 წ.	1,089
ცვეთა	1,755
დაგროვილი ცვეთა 31/12/2018 წ.	2,843
წმინდა საბალანსო ღირებულება 01/01/2018წ. მდგომარეობით	27,949
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/2018წ. მდგომარეობით	35,273

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-12-18	31-12-17
ნაღდი ფული სალაროში	1,340	285
ფული საბანკო ანგარიშებზე	52,445	37,962
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	53,784	38,247

7. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ძირითადი მასალების დანახარჯები/შემენა	70,884
ხელფასი	142,416
დამხმარე მასალების დანახარჯები/შემენა	13,666
რემონტის დანახარჯები	7,537
სხვა საოპერაციო ხარჯები	8,491
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	242,994

8. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავოსაწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა. კომპანიის დამფუძნებლებმა 2018 წელს მოახდინეს საწესდებო კაპიტალში ცვლილება. 2018 წელს განხორციელებული ტრანზაქციები მოცემული ქვემოთ:

სს კურორტი ახტალა - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

2018

ნაშთი 1 იანვარი 2018	3,183,104
საწესდებო კაპიტალის ზრდა	575,873
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(193,709)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	(3,635,268)

ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება

გვარი, სახელი	თანამდებობა	ნაშთი 2017/12/31	დარიცხული ხელფასი 2018 წელი	ნაშთი 2018/01/01
უტიაშვილი გიორგი	დირექტორი	0	22150	0
შუხოშვილი თევდორე	დირექტორის პირველი მოადგილე	0	8400	0
შუბაშვილი გიორგი	დირექტორის მეორე მოადგილე	0	15675	0

9. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.

სს კურორტი ახტალას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


	31-12-18	31-12-17
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	3,466,718	3,121,570
არამატერიალური აქტივები	35,273	27,949
საინვესტიციო ქონება	-	-
ბიოლოგიური აქტივი	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	3,501,991	3,149,519
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	7,130	11,550
გაცემული სესხები	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	890	2,236
ფული და ფულის ეკვივალენტები	53,784	38,247
სულ მიმდინარე აქტივები	61,804	52,033
სულ აქტივები	3,563,795	3,201,552
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	3,703,348	3,242,105
დაგროვილი მოგება	(144,956)	(45,760)
სულ საკუთარი კაპიტალი	3,558,392	3,196,345
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,751	5,627
საგადასახადო ვალდებულებები	(348)	(420)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5,403	5,207
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3,563,795	3,201,552

დირექტორი



გ. უტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი



მ. ათაბეგაშვილი




სს კურორტი ახტალას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2018
ამონაგები	351,295
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(242,994)
საერთო მოგება	108,301
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(197,715)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	(2,426)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება	(91,840)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	9,442
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(16,798)
მოგება დაბეგვრამდე	(99,196)
მოგების გადასახადის ხარჯი	-
წმინდა მოგება/ზარალი	(99,196)
სხვა სრული შემოსავალი	9,079
სულ სული შემოსავალი	(90,117)

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი



გ.უტიაშვილი

მ. ათაბეგაშვილი



სს კურორტი ახტალას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება


	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	3,183,104	59,001	(45,760)	3,196,345
კაპიტალის ზრდა	452,164			452,164
წლის წმინდა მოგება			(99,196)	(99,196)
გადაფასების რეზერვის ზრდა		9,079		9,079
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	3,635,268	68,080	(144,956)	3,558,392

დირექტორი



გ.უტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი



მ. ათაბეგაშვილი



სს კურორტი ახტალას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018

საოპერაციო საქმიანობა

მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	361,413
მომწოდებელსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	- 342,005
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	19,407
გადახდილი მოგების გადასახადი	-
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	19,407

საინვესტიციო საქმიანობა

ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	- 70,529
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(70,529)

საფინანსო საქმიანობა

ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებად	70,000
დივიდენდების გადახდა	- 3,341
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	66,659

ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა)

წლის განმავლობაში	15,537
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	38,247
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	53,784

დირექტორი



გ.უტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი



მ. ათაბეგაშვილი

